

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ჩვენი სულიერების ბაღავარი



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის  
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება

## ჩვენი სულიერების ბალავარი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები

V



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2013

აღმოსავლეთ ჯანეთის საეკლესიო ნაგებობანი  
(არღაშენი, კირონითი) არღაშენის ეკლესია


არღაშენის ეკლესია ცნობილია "ჯიბისთასი" - ს სახელით, მისი შიდა სივრცის სიგრძე ცენტრალური აბსიდის შიდა კედლამდე 14,70მ-ია, ხოლო სიგანე - 8,00მ. ეკლესიის კედლები დულაბით შეკავშირებული რიყის ქვითაა ნაგები და მოპირკეთებული ყოფილა ქვიშაქვის მოყვითალო ფილებით, კედლების სიგანე საშუალოდ 50 სმ-ა. ნაგებობა აღმართულია სამსაფეხურიან სტერეობატზე, მისი ნაშთები შემორჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთის აბსიდის ქვედა სტრუქტურაში. იგი ამოყვანილია საგანგებოდ დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით. აბსიდათა არეში მათ გეგმაში აბსიდების მრუდის შესაბამისად ლეკალური მოყვანილობა აქვთ. ტაძრის დასავლეთ-აღმოსავლეთ დერძი თითქმის აბსოლუტურია. ეკლესია აღმოსავლეთის მხრიდან სამი შევილი აბსიდით ხასიათდება. ცენტრალური აბსიდა საგრძნობლად წინ აზიდულია და თითქოსდა, მრავალწახნაგა უნდა ყოფილიყო.

ეკლესიის ჩრდილოეთით ორსართულიანი "ეკუდერი" დასტურდება. მისი სიგრძე 11,70მ-ია. ზედა სართულის იატაკის დონე თვით ეკლესიის დონეს უსწორდებოდა. მისი ქვედა სართული კი შესაძლოა კრიპტა ყოფილიყო. მისი სიმაღლე 1,55მ-ია, სიგანე - 2,50მ, სიგრძე კი - 4მ. მისი კედლის სიგრძე 80სმ-ია და თაღოვან გადახურვას შეიცავს. შიდა სივრცე მთლიანად გადათხრილია მძარცველების მიერ. მას კარი ჩრდილოეთის მხრიდან აქვს, ცენტრალურ არეში მისი წირთხლები წინგამოზიდულ პილონებსაც შეიცავს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათში ქვის ფილა იყო ჩამჯდარი და კარის ღიობი იგმანებოდა. ღიობს არქიტრავეული გადახურვა აქვს. თვით "კრიპტას" კედლები განსხვავებული სამშენებლო ტექნიკითაა ნაგები, მოზრდილი შუაზე გატეხილი რიყის ქვების რეგულარული წყობით. მათ როგორც კორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ ნაკერებში კირხსნარია გამოყენებული.

სავარაუდოა, რომ "კრიპტაში", აღწერილი კარის ღიობის გარდა, შესვლა (ჩასვლა) მეორე სართულის დონიდანაც უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. ამის დადგენა ახლა შეუძლებელია, რადგან მისთვის რაღაც რესტავრაციის (რემონტის) მაგვარი ჩაუტარებით და მისი ზედა სტრუქტურა ცემენტის ხსნარით შეუვსიათ.

ნაგებობა თითქმის მთლიანადაა დაფარული ხეებით და სხვა ხეიარა მცენარეებით, ამდენად ძველის დეტალებზე მსჯელობა ჭირს. ამას გარდა მას დასავლეთის მხრიდან თანამედროვე სახლი ედგმის და თანაც ისე, რომ ტაძრის შიდა სივრცე ამ სახლის ეზოს წააგავს. ამიტომაც გაურკვეველი რჩება ეკლესია დასავლეთის მხრიდან შეიცავდა თუ არა ნართექსს. სავარაუდო კი ნამდვილადაა.

ტაძრის შიდა სივრცის აღქმას ართულებს ის, რომ იქ თითქმის ტყვა, ათეულობით ხის დათვლა შეიძლება.



არღაშენის ეკლესიის სქემატური გეგმა. შემსრულებელი გ. ყიფიანი

კარის ღიობებს ეკლესია შეიცავდა, როგორც დასავლეთის, ასევე სამხრეთის მხრიდან. ჩრდილოეთის კარს "ეკუდერს" ვუკავშირებთ.



ორ-ორი სარკმელი დასტურდება, როგორც ჩრდილოეთის ასევე, სამხრეთის მხრიდან. სარკმლის ქვედა დონეები ერთ ხაზზე გასწორებული და ამასთანავე ისინი (ორ-ორი სარკმელი) ერთმანეთს უპირისპირდება.

ჩრდილოეთის მხარის სარკმლები მიგვანიშნებს ნაწილობრივ მაინც იმას, რომ "ეკედერი" გვიანდელი დანამატი ეკლესიისა და არა თავდაპირველი. ამაზე ეკლესიის სამშენებლო წყობაც მიანიშნებს.

არ ვიცით შვერილი აბსიდები სარკმელთა რა რაოდენობას შეიცავდა.

სამხრეთის კარი ახლა თაღოვანად გამოიყურება, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ კარის ღიობი თავიდან თაღოვანი ცრუ ლუნეტს შეიცავდა და თუ ის თაღოვან ღიობს წარმოადგენდა, როგორც ახლა გამოიყურება, მაშინ ტაძარი მინაშენს (კარიბჭე) სამხრეთის მხრიდანაც შეიცავდა. მისი კვალი (თუ იგი არსებობდა) ახლა არც გამოჩნდება, რადგან ტარის სამხრეთის მხარე უშუალოდ კედლიდანვე ჩაის პლანტაციას უკავია.

თავისი გეგმარებითი სქემით, რისი დადასტურებაც შეეძლებოდა, ნაგებობა ჯვარგუმბათოვანია. იატაკის დონის დასადგენად აქ არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება იქნება საჭირო, მაგრამ დაუდასტურებლადაც შეიძლება ვთქვათ, რომ მისი შიდა სივრცე უცილობლად შეიცავდა ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯს, ანუ იქმნებოდა გუმბათქვეშა კვადრტი. ამაზე ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებიდან გამოზიდული ნახევარბურჯთა ნაშთებიც მიგვანიშნებს. ცენტრალური ბურჯები, სავარაუდოდ, გეგმაში ჯვრის ფორმისანი უნდა ყოფილიყვნენ, რათა საბრჯენი თაღების დატვირთვის თანაბარზომიერად განაწილება შესძლებოდათ.

ნაგებობის შექმნის დროდ შეიძლება ზოგადად განვითარებული შუასაუკუნეები ვიგულისხმოთ, რომელიც ემიჯნება ე.წ. გვიანბიზანტიურ ხანას. უფრო დაზუსტებით რაიმეს თქმა თარიღზე ახლა შეუძლებელია.

ამ ტაძრის არქიტექტურული კანონი კარგადაა შესწავლილი და იგი განეკუთვნება შუა და გვიანბიზანტიურ პერიოდების აღმოსავლურ სკოლას.

გეგმარებითი სქემის მიხედვით მსგავსი ნაგებობები მრავლად გვხვდება მთელს ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში და მის მომიჯნავედ.<sup>3</sup>

### პირონითის ეკლესია

ეკლესია მდებარეობს არხავის სოფელ პირონითში. იგი სოფლის თავში ზღვისკენ წინწამოზიდული ქედის ბოლო შემადგენულ ბორცვზეა აშენებული. აქედან შესანიშნავად მოსჩანს მთელი შემოგარენი ოთხივე მხრივ, განსაკუთრებით ზღვისპირეთი მთელ სიგრძე-სიგანეზე. ნაგებობა დარბაზული შვერილაფსიდიანი ეკლესიაა. მისი სიგანე 5,80მ-ია, ხოლო სიგრძე - 10მ. იგი სამსაფეხურიან ცოკოლზეა აღმართული. გამოირჩევა იშვიათი, დახვეწილი პროპორციებითა და "კლასიკური" სამშენებლო საქმით. კამარა ჩაქცეულია, ამას გარდა, არ იკითხება, ჩრდილოეთის კარის გარდა, შეიცავდა თუ არა იგი ღიობს სამხრეთიდანაც, დასავლეთის მხრიდან კარი არ შეინიშნება, კედელი ყრუა.

ჩრდილოეთის კარი 3მ სიმაღლის ღიობია. მის წირთხლებზე შეინიშნება, რომ კარი ლუნეტს შეიცავდა, მისი სიგანე 1,35მ-ია და ფუძიდან მისი ზღურბლი 50სმ-ის სიმაღლეზეა გამართული. კარის (თუ ლუნეტის) თაღოვანი ნაწილი პლინტუსებითაა (30X30სმ) შედგენილი.

კედლების წყობის ხასიათი ყველაზე უკეთ ჩრდილოეთის ფასადზე იკითხება. დუღაბით ამოყვანილი კედლები მოპირკეთებულია მცირე ზომის კვადრებით (და არა ფილებით,

<sup>3</sup> . იხ. Alla I. Romancuk, Studien zur Geschichte und Archäologie des Byzantinischen Cherson. Colloquia Pontica Brill, Leiden-Boston, 2005 გვ. 67 და შმდ. სურ. 28; 33; 4. აგრეთვე Ю.С. Асеев. Архитектура Северного Причерноморья, გვ. 502 და შმდ. სურ, 7. აგრეთვე А.Л. Якобсон. Закономерности развития средневековой архитектуры. Ленинград, 1985 გვ. 60 და შმდ.


როგორც ეს თითქოს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო). აქ არ გვხვდება არცერთი ისეთი დეტალი, რომელიც მის მეორად გამოყენებაზე მიგვანიშნებდა. კვადრების სიმაღლე საშუალოდ 20სმ-ია და იგი ძალიან მოგვაგონებს ისოდომური წყობის ბოლო უკანასკნელ სახეს (ისოდომური წყობა იმით ხასიათდება, რომ კვადრებით გაწყობილი რიგების სიმაღლე მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე განზომილებისაა). ამას გარდა, წყობაში, შესაძლოა გამომსახველობის, თუ დეკორატიულობის მიზნით ვიწრო ჩანართებიც გვხვდება, როგორც ე.წ. "ენპლექტონის" გვიანდელი ანასახი. კედლები მასიურია, მისი სიგრძე 70სმ-ს უტოლდება.

ეკლესია ამჟამად მთლიანადაა შეზღუდული ეკლესი ბარდებითა და ხვიარა მცენარეებით (სურო და ა.შ.) და მისი პროპორციების შეფასება ძირითადად სტატისტიკური მონაცემების შეჯერების შედეგად ხდება. მაგ. სიგანე 5,80მ შეფარდებული სიგრძესთან (10მ) ძალიან უახლოვდება ოქროს კვეთის პროპორციას.

ამას გარდა, კარის სიგანე (1,35მ) შეფარდებული მანძილს კედლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან კარის წირთხლამდე (2,30მ) დიდი სიზუსტით შეესაბამება ასევე, ოქროს კვეთის პროპორციას ( $1,35 : 2,30 = 0,6136...$ ) და ა.შ.

ჰარმონიულია ტაძრის შიდა სივრცეც. მიუხედავად იმისა, რომ შიდა სივრცე გაუგალი და მაღალი ჯაგნართაა დაფარული მაინც შეიგრძნობა.

ეკლესიის დარბაზი კედლის სიბრტყიდან 28სმ-ით გამოზიდული, გეგმაში ორსაფეხურიანი და 75სმ-ის სიგანის პილასტრებით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. გრძელ - დასავლეთის ნაწილად და მოკლე - აღმოსავლეთის ნაწილად. ეს ნაწილი ქმნის კიდევაც საკურთხევლის აბსიდის წინ "ბემას", სწორედ ბემა ნათდება ურთიერთმოპირდაპირე სარკმლებით.



პირონითის ეკლესიის სქემატური გეგმა. შემსრულებელი გ. ყიფიანი

ჩრდილოეთის კედელი ორ ერთმანეთის თავზე გამართულ სარკმელს შეიცავდა. სარკმლები თაღოვანია და მისი ზედა სტრუქტურა პლინტუსებითაა გაწყობილი. ქვედა სარკმელი "ხატაკიდან" (ამჟამინდელი დონე იგულისხმება) 1,10მ-ის სიმაღლეზეა გამართული, მისი სიმაღლე 90სმ-ია, ხოლო სიგანე - 70სმ. ზედა სარკმელი კი ამჟამინდელი დონიდან 3,40მ-ის სიმაღლეზეა გამართული, მისი სიმაღლე 1,4მ-ია, ხოლო სიგანე - 90სმ.

ეკლესია ტიპური "კაპელაა", რომელიმე საეპისკოპოს (რიზინის?) კუთვნილი და ცხადია ტრაპიზონის, ანუ ახალი, ლაზიკის მეტროპოლიაში შემავალის.

ამ კაპელის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი შეკეთრად წინგაზიდული აბსიდია. საერთო მასიდან იგი 2მ-ის სიგრძეზეა გაზიდული, ხოლო სატრიუმფო თალიდან მისი სიღრმე 2,30მ-ს უტოლდება.



განსაკუთრებით აღსანიშნავი კაპელაში შემდეგი კატეგორიებია:

1. უზადოდ და დიდი ხელოვნებით ნაგები სამსაფეხურიანი სტერეობატი (მისი ყოველი საფეხურის სიგანე 15სმ-ია, ხოლო სიმაღლე საშუალოდ - 16სმ), კარგად დამუშავებული ქვიშაქვის ფილა-კვადრებისგან ნაგები საფეხურები, რომელიც თავის მხრივ ასევე, ქვიშაქვის ბლოკადებისგან შედგენილ სუბსტრუქტურას ეყრდნობა.

2. კედლის არქაული წყობა, ისოდომური წყობის ანასახი<sup>4</sup>.

3. სარკმლები. ერთ-ერთი მეტყველი დეტალი კედლების აგების ზოგადი თარიღისთვის. სარკმლები აქ პარალელურკედლებიანია, რაც მის არქაულობაზე მეტყველებს (ანუ არა უგვიანეს VII საუკუნისა)<sup>5</sup>.

4. საყურედღებოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ კაპელა დასავლეთიდან კარს არ შეიცავდა. მისი კართა დიობები გრძელკედლებშია შექმნილი და ერთგვარი ქართული ადრექრისტიანული არქიტექტურული სინამდვილის გამოძახილია<sup>6</sup>.

ეს კაპელა თავისი არქიტექტურული კატეგორიებით მკვეთრად გამოირჩევა აღმოსავლეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ანალოგიური (ცალნაეიანი და შვერილაბსიდიანი) კაპელებისგან<sup>7</sup>. მისი თარიღი ზოგადად VI-VII საუკუნეებით უნდა განისაზღვროს.

<sup>4</sup>. ისოდომური წყობის შესახებ იხ. W. Wroole, Attirele Mauern, Athen, 1933. გვ. 50 და შმდ.

<sup>5</sup>. Н. Г. Чубинашвили. Дваниб Храмы Грузии типа "Croix Libre" и Вписанного впрямоугольник креста в VI и VII вв. წიგნებში Средневековое искусство (Русс. Грузия) М. 1978. გვ. 15

<sup>6</sup>. გ. ყიფიანი. კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბ. 2000, გვ. 86 და შმდ.

<sup>7</sup>. შდრ Alla I. Romancuk, Studien zur... გვ. 67 და შმდ

## Church buildings in Eastern Chaneti

### Summary

#### Ardashen Church

The church of Ardasheni is known by the name of "Jibistasi". The length of its inner space up to the inner wall of the central apse is 14, 70m and the width is - 8, 00m. The walls of the church are built with cobblestones and had apparently been faced with yellowish rocky slabs. The width of the wall is 50 cm average. The building is erected on a three-step stereo-bate the remains of which are preserved in the lower structure of the south-eastern apse. It is erected with specially elaborated stony quadras. In the apse area in the plan they have radiating shape correspondingly to the apse curve. The western-eastern axis of the temple is almost absolute. The church is characterized by three protruded apses from the east. The central apsis is quite advanced and might have been of polygonal configuration.

From the northern side a two-storied "exedra" is confirmed. Its length is 11, 70 m. The level of the upper floor equaled the level of the church itself. Its lower floor might have been a crypt. Its height is 1,55 m, width - 2,50 m, length - 4 m. The length of its wall is 80 cm and contains arched roofing. The inside space is completely dug up. It has a door from the northern side, and in the central part the jambs contain forwarded pylons as well. It shows that there was a stone slab set into them and the door opening was hidden. The opening has architrave roofing. The walls of the crypt are built with different constructing technique - with a regular sequence of bigger cobble-stones divided into two. Lime mortar is used in the horizontal as well as vertical stitches.

Probably, apart from the described door opening, the entrance into the crypt might have been possible through the second floor level. It is impossible to confirm it today as there had been a kind of restoration

works conducted here and the upper structure had been filled in with cement mortar.

The building is almost completely covered with trees and other climbing plants and the study and judgment of the details of the building is complicated. Besides, from the western side it neighbors with a modern dwelling house so that the inner space of the church resembles the yard of the house. Hence, it remains uncertain whether the church contained a narthex from the western side or not. However, the supposition is great.

The perception of the interior space of the church is complicated in addition by the fact that there is almost a forest there with tens of trees to be counted.

The church contained door openings from the western as well as the southern sides. We connect the northern door to the "exedra".

Two windows are confirmed from the northern as well as southern sides. The lower levels of the windows are leveled along a line and at the same time these pairs of windows are confronting each other.

The northern side windows partially point to the fact that the exedra is a later addition to the church and not the original one. To this point the construction arrangement of the church too.

We do not know how many windows had been in forwarded apses.

The southern door looks vaulted now but it leaves the impression as if the door opening contained a false lunette from the very start; and if it had represented a vaulted opening – as it seems now – then the church should have contained an annex (gate) from the southern side as well. Even if it had existed, still the traces cannot be seen today as the southern part of the church is occupied by tea plantations directly from the wall.

According to its planning we were able to determine only that the building is dome-shaped. To determine the level of the floor the archaeological excavations should be conducted. However, it can be stated without the confirmation that the interior space definitely contained four separately erected pillars thus creating the under-dome

square. To this point the remains of half-pillars protruded from the northern and southern walls. Supposedly, the central pillars should have been cross-shaped in the plan so that be able to equally distribute the loading of the supporting arches.

The date of the church building can be generally acknowledged as the developed Middle Ages that are adjacent to the so called late-Byzantine period. It is impossible to say anything in more details at present.

The architectural canon of the church is very well studied and it belongs to the eastern school of the mid and late Byzantine periods.

According to the planning scheme, similar buildings are numerous found along the whole northern Black Sea littoral and in vicinities<sup>8</sup>.

#### Pironity Church

The church is located in the village of Pironity in Archavi. It is built on the last raised hill of the range protruded towards the sea at the beginning of the village. From here the vicinities can fully be seen on all the four sides, especially the Black Sea littoral in full length. The building is a hall-type church with a projection-apse. The width is 5, 80 m, the length – 10 m. It is erected on a three-step pedestal base. It is distinguished by rare, exquisite proportions and "classical" construction. The vault is destroyed; besides, there is only a northern door and no

---

<sup>8</sup>. See Alla I. Romancuk, Studien zur Geschichte und Archaologie des Byzantinischen Cherson. Colloquia Pontica Brill, Leiden-Boston, 2005p.67 and after, pic.28; 33; 4. Also Ю.С. Асеев. Архитектура Северного Причерноморья, p.502 and after, pic. 7. Also А.Л. Якобсон. Закономерности вразвитии средневековой архитектуры. Ленинград, 1985 p.60 and after.



trace of an opening from the southern part; there is no door from the western side either, there is a dead wall.

The northern door is an opening of 3 m height. Its jambs show that it contained a lunette. Its width is 1,35 m and the threshold is raised in 50 cm from the base. The vaulted part of the door (or a lunette) is arranged in plinths (30X30 cm).

The nature of the wall arrangement is best read on the north façade. The grouted walls are faced with small size quadras (and not with slabs as it were expected). We do not see here any of the details pointing to their secondary utilization. The average height of quadras is 20 cm and they remind the last type of isodomic arrangement (the isodomic arrangement is characterized by more or less one and the same dimension of the height of the quadras in rows). Besides, there are some narrow insertions into the row apparently for representation or decoration purposes, as the later reflection of the so called "enplecton". The walls are massive, their length reaches 70 cm.

At present the church is completely covered with thorn hedge and climbing plants (plush, etc.) and the estimation of its proportions is conducted mainly with compilation of statistic data, e. g. the width 5,80 m compared to the length (10 m) is very much like a golden ratio.

Besides, the width of the door (1,35 m) related to the distance from the north-western corner to the door jamb (2,30 m) is also similar to the golden ration with great precision ( $1,35 : 2,30 = 0,6136\dots$ ), etc.

The interior space of the church is also harmonious. Despite the tall and impassable bushes, the interior space is still well felt.

The hall of the church is divided into two non-equal parts by the 75 cm-wide two-step pilasters erected in 28 cm from the wall flatness. There are two parts – the longer western part and the shorter eastern part. This is the part that creates "bema" in front of the altar apse. This bema is lighted by the opposite windows.

The northern wall consisted of two windows above each other. The windows are vaulted and the upper structures are decorated with plinths. The lower window is arranged on the height of 1,10 m from the "floor" (the present level is meant), its height is 90 cm, width – 70 cm.

The upper window is 3,40 m high above the present level; the height is 1,4 m, and the width – 50 cm.

The church is a typical "chapel" belonging to certain eparchy and obviously, included into the Trabzon or new, Lazika metropolis.

A sharply forwarded apse is one of the characteristic features of this chapel. It is protruded in 2 m from the whole mass while from the triumphal arch its depth reaches 2,30 m.

The following categories are especially remarkable in the chapel:

1. A three-step artfully built stereo-bate (the width of each step is 15 cm and the average height – 16 cm); the steps well elaborated and built with slab-quadras which on their part are based on the substructure of stone blockades.
2. The archaic arrangement of the walls, reflection of isonomic arrangement<sup>1</sup>.
3. Windows – one of the expressive details for the general dating of the church. The windows are with parallel walls here that points to their archaic age (i.e. no later than VII century).
4. It is also noteworthy that the chapel contained no doors from the western side. The door openings are created in the lengthy walls and are reflections of Georgian early Christian architecture.

This chapel is obviously distinguished by its architectural categories from the similar chapels (single-nave and protruded-apse ones) in the eastern, north-eastern and northern Black Sea littoral. It can be dated by VI-VII centuries.



